პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 182 (5991) 15 1977 წ. სექტემბერი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხარისხის ამაღლება საყოველთაო საზრუნავია

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება საყოველთაო მოხმარების პროდუქციის გამოშვება, უფრო სრულყოფილი ხდება მისი ასორტიმენტი, დიდდება შესაძლებლობა ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და გემოვნების მიხედვით შევარჩიოთ სასურველი ნივთი. მომხმარებელი ღირსეულად აფასებს ნაწარმს, რომელსაც ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს მინიჭებული.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაში მოპოვებული წარმატებები აშკარაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მაღაზიის დახლებსა და თაროებზე ჯერ კიდევ საკმაოდ ვხვდებით უხარისხო პროდუქციას, მათ შორის, სპორტულ ნაწარმს. დაბალი ხარისხის პროდუქცია მარტო დაკარგული ნედლეული როდია, ეს მუშა-მოსამსახურეთა შრომის წყალში გადაყრაა, რომ არაფერი ვთქვათ სპორტის მოყვარულებისთვის მიყენებულ მატერიალურ და მორალურ ზარალზე.

სპორტული ნაწარმი სტანდარტის მკაცრ მოთხოვნას მხოლოდ მაშინ უპასუხებს, როცა დამპროექტებლები, მემოდელეები, ნედლეულის მიმწოდებლები და მწარმოებლები პირნათლად მოიხდიან თავიანთ მოქალაქეობრივ და პროფესიულ ვალს.

ხარისხის გაუმჯობესება ჭეშმარიტად პროგრამული ეკონომიური, სოციალური ამოცანაა და ამ საქმეში შესაბამის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით მხარს ვუჭერთ პრესაში უკვე გამოთქმულ აზრს: ახალ კონსტიტუციაში ცალკე მუხლად აისახოს — „სსრ კავშირის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, მოსამსახურეები პასუხს აგებენ უხარისხო პროდუქციის გამოშვებისთვის".

1968 წლიდან მოყოლებული სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მიიღო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები შრომის, სახალხო განათლების, ოჯახისა და ქორწინების შესახებ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ მიღებულ იქნას კანონი ფიზკულტურისა და სპორტის შესახებაც.

ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა, ასე ვთქვათ, ფინიშის სწორზე გავიდა. თვალსა და ხელს შუა ილევა დრო, დადგება 4 ოქტომბერი და მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე განვითარებული სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციის პროექტი კანონად იქცევა. მომდევნო პერიოდში თითოეული რესპუბლიკა მიიღებს შესაბამის კონსტიტუციას. ამასთან დაკავშირებით შემომაქვს წინადადება: „ლელომ" თავის ფურცლებზე გამოაქვეყნოს მოძმე რესპუბლიკების ძირითადი კანონის პროექტებიდან მუხლები და დებულებები ფიზკულტურისა და სპორტის შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ გავეცნოთ მეგობართა ჩანაფიქრს, უფრო ღრმად გავიაზროთ განვლილი გზა და ხვალინდელი დღე, რომელიც სპორტულ სარბიელზე საბჭოთა საქართველოს ახალ წარმატებათა საწინდრად გვესახება.

ჯ. საპანდერაშვილი,
სიღნაღის რაიონის ქ. წნორის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე, საქმლაქო საბჭოს დეპუტატი.

ბოლნისელთა სიხარული

ახლახან ბოლნისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 8500-ადგილიანი ფეხბურთის სტადიონი, რომელსაც კეთილმოწყობილი გასახდელები, საშხაპე და სხვა აუცილებელი სათავსოები აქვს. აქვე მოეწყო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები, საინფორმაციო ტაბლო, რადიოკვანძი...

— უკანასკნელ პერიოდში სპორტული ბაზების მშენებლობა ჩვენი რაიონის ხელმძღვანელი მუშაკების ყოველდღიური საზრუნავია. პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებიც მხარში ამოგვიდგნენ და სწორედ საერთო ძალებით შევძელით შედარებით მოკლე დროში აგვეშენებინა ცენტრალური სტადიონი. ახლახან გამართულ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების საკითხს. მიღებული გადაწყვეტილებანი ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედად იქცა. აქტივის კრების შემდეგ რაიონის ალმასკომმა ძველი კინო-თეატრის შენობა გადმოგვცა. ამ დღეებში შევუდგებით სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, ასე რომ, მალე სპორტული დარბაზიც გვექნება. — გვითხრა ბოლნისის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ე. მარგიანმა.

ე. ბერიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბოლნისი.

ჯვრის უღელტეხილის გავლით

ახლახან ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა გამოჩენილი რევოლუციონერის, სპორტსაზოგადოება „დინამოს" ერთ-ერთი დამაარსებლის ფ. ძერჟინსკის დაბადების 100 წლისთავი. ამ თარიღს მიეძღვნა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოსა და გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქციის მიერ ორგანიზებული სააგიტაციო გარბენი მარშრუტით ორჯონიკიძე — თბილისი. გარბენში მონაწილეობდა „საქქალაქმშენსახპროექტის" ინსტიტუტის საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების თანამშრომელი ვადიმ როსი. იგი მრავალმხრივი სპორტსმენია — პირველთანრიგოსანია კრივსა და ჭადრაკში, აქვს თანრიგები ცურვაში, ტანვარჯიშში, საველოსიპედო სპორტსა და რბენაში. როსი მაღალ შრომისუნარიანობასა და ბრწყინვალე ჯანმრთელობას სირბილს უმადლის. და მართლაც, 43 წლის სპორტსმენი ასაკთან შედარებით ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურება. იგი თითქმის ყოველდღე 50 კილომეტრს დარბის.

ვადიმი დიდი ხანია ოცნებობდა დაეფარა მანძილი თბილისიდან ორჯონიკიძემდე ჯვრის უღელტეხილის გავლით. შარშანწინ მან ეს მანძილი ველოსიპედით 17 საათში გაიარა. შარშან ვადიმმა სცადა მარშრუტი სირბილით დაეფარა, მაგრამ ანანურში ძლიერმა წვიმამ მოუსწრო და იძულებული გახდა შეეწყვიტა ასპარეზობა.

და აი, ახლა გადაწყდა სტარტი ორჯონიკიძეში აეღოთ. სპორტსმენი, რესპუბლიკის საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის ექიმი-მასაჟისტი ი. მანშუკოვი, თანმხლები მანქანის მძღოლი ბ. ეგიაზაროვი და გარბენის ხელმძღვანელი და მსაჯი—ამ წერილის ავტორი წინასწარ გაემგზავრნენ ორჯონიკიძეში.

სპორტსმენმა სტარტი აიღო 10 სექტემბერს 11 საათზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რბენის დაწყებამდე სპორტსმენს მაჯისცემა ჰქონდა 66, წნევა 120:70, წონა — 67 კგ. ფინიშის შემდეგ მალე მაჯისცემა და წნევა ნორმალური გახდა, ხოლო წონაში კი 3 კგ დაიკლო.

გზაზე როსი მხოლოდ დაღლილობას როდი ებრძოდა: თავდაპირველად სიცხემ შეაწუხა; შემდეგ დარიალის ხეობაში ძლიერმა ქარმა, უღელტეხილის მისადგომებთან თავს დაატყდა კოკისპირული წვიმა და სეტყვა, შემდეგ სიცივე და ისევ სიცხე. სპორტსმენი ყაზბეგში 17 საათზე იყო, უღელტეხილზე — 21 ს. და 30 წუთზე, მლეთში — 23 საათზე, შემდეგ სამ საათს ეძინა. 3 საათსა და 30 წუთზე, უკვე 11 სექტემბერს, იგი კვლავ დაადგა გზას და 15 საათზე ნატახტარში ჩავიდა, სადაც მას „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენლები შეხვდნენ. ფინიში საქართველოს სამხედრო გზასა და გორის გზის გასაყარზე მოეწყო.

აქ „დინამოს" ფიზმომზადებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა, სპორტის ოსტატმა ვ. ჩოლარიამ სპორტსმენს სამახსოვრო თასი, სიგელი და ვიმპელი გადასცა.

ასე რომ, როსმა 28 საათის განმავლობაში (22 საათი განუწყვეტელი რბენით) 180 კმ დაფარა.

ბ. კამენსკი,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: ვ. როსი ტრასაზე.
ავტორის ფოტო.

10 წლის შემდეგ

საქართველოს ტყვიის მსროლელებს ყოველწლიურად რამდენიმე შესწორება შეაქვთ რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში. მაგრამ იმან, რაც ამას წინათ ლვოვში ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ტყვიის მსროლელთა ჩემპიონატში მოხდა, მოლოდინს გადააჭარბა. საქმე ის არის, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა მცირეკალიბრიანი შაშხანის სამი მდგომარეობიდან სროლაში 10 წლის წინანდელი რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესეს.

ეს წარმატება ეკუთვნის თბილისის არმიელთა კვარტეტს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ვ. სკრინიკოვის, სპორტის ოსტატების ა. მარუთიანის, ვ. რიაბუხინისა და ე. აბაჯიანის შემადგენლობით. მათ 4556 ქულა მოაგროვეს და რესპუბლიკური რეკორდი ორმოცდაათი ქულით გააუმჯობესეს. გუნდის ლიდერმა ვ. სკრინიკოვმა პირად პირველობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

რ. კაცობაშვილი.

ლისის ტბის სტუმრები

თბილისელთა ერთ-ერთ საყვარელ დასასვენებელ ადგილს — ლისის ტბას, მუდამ მრავალი სტუმარი ჰყავს, მაგრამ კვირას მაინც სხვაგვარად იყო გამოცოცხლებული აქაურობა. ტბის პირას თავი მოეყარათ თბილისის მე-2 რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის IV-X კლასების მოსწავლეებს.

გავშვებს მიზნად დაესახათ სპორტული ზეიმის გამართვა და აქტიური დასვენება.

ასპარეზობის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ. მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მშდ კომპლექსის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში — ცურვაში, სირბილში, ღერძზე მიზიდვასა და სასტენდო სროლაში, აგრეთვე, ტურისტულ ლაშქრობაში.

ამ სახეობათა საერთო ჯამში ყველაზე მეტი ქულა (38) გოჩა დანელიამ მოაგროვა. სპორტის ცალკეულ სახეობებში კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ ნინო ზალდასტანიშვილს, ია ნოდიას, ინგა კუსრაშვილს, ირინე ქართველიშვილს, ალექსანდრე მექვაბიშვილს, ბესიკ მოლაშვილს, რამაზ კარანაძეს, გოჩა დარჩიას და სხვებს.

ა. კავკასიძე.

• • •

სურათებზე: 30 მეტრზე მორბენალი გოგონების სტარტი; თანაკლასელთა გულშემატკივრები; ბაგირის გადაძალვა.
ავტორის ფოტოები.

ხუთჭიდელთა სარეკორდო ქულები

ლონდონი, 12 სექტემბერი. ინგლისის დედაქალაქში გამართულ თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ბრწყინვალედ იასპარეზეს უნგრელმა ათლეტებმა. ლასლო ხორვატმა 5695 ქულით I ადგილი დაიკავა. სტატისტიკოსების ცნობით, ხუთჭიდის ისტორიაში ეს ქულათა საუკეთესო ჯამია.

უნგრეთის ნაკრებმაც ქულათა სარეკორდო რაოდენობა (16476) მოაგროვა. (საქდესი).

„ოკეანედან ოკეანემდე"

ასე ერქვა ავტოგარბენს, რომლის მონაწილეებს საზეიმოდ დახვდნენ წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ვლადივოსტოკში ოქროს რქის ყურეში. გარბენის (მისი ერთ-ერთი ორგანიზატორია ლატვიის ქარხანა „რაფი") მარშრუტი ლიეპაიაში დაიწყო და გადიოდა ქვეყნის ევროპულ ნაწილზე, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთზე (15000 კმ).

მამაც ავტომობილისტებს არაერთი საინტერესო შეხვედრა მოუწყეს კამაზისა და ბამის მშენებლობებზე.

გარბენის ერთ-ერთი მიზანი იყო გამოეცადა ავტოქარხანა „რაფ"-ის პროდუქცია — ოლიმპიურ შეჯიბრებათა მომსახურებისთვის განკუთვნილი უახლესი კონსტრუქციის სამი მიკროავტობუსი.

ახალი მანქანების შექმნისას კონსტრუქტორები გაითვალისწინებენ გარბენის მონაწილეთა შენიშვნებსა და სურვილებს.

ი. პილატოვი,
საქდესის კორ.

ვლადივოსტოკი.

კონსტიტუციის პროექტის სტრიქონებს მიღმა

სპორტის სიყვარულით

წლევანდელ საიუბილეო წელს განსაკუთრებული ენთუზიაზმი და მაღალი შემართება სუფევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ეს რასაკვირველია, სპორტსაც ეხება. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებიდან კასპის პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რაიონის სპორტკომიტეტმა ჯეროვანი დასკვნები გამოიტანეს — ვაპირებთ საცურაო აუზისა და ახალი სტადიონის აშენებას, ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის ბაზების მოსაწყობად 76000 მანეთია გამოყოფილი. აშენდება ტანვარჯიშის კეთილმოწყობილი დარბაზი, სამ საშუალო სკოლაში მოეწყობა სასროლეთები. ავაგებთ 100-ადგილიან სასტუმროს, ურომლისოდაც ძნელია რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებათა ჩატარება.

ჩვენი რაიონის ახალგაზრდობას უყვარს სპორტი. კასპში ბავშვთა ორი სპორტული სკოლაა, რომელთა აღსაზრდელები წარმატებით ასპარეზობენ რესპუბლიკურ და საკავშირო პირველობებში. ყოველწლიურად ტარდება მოსწავლეთა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონული სპარტაკიადები, ეწყობა მასობრივი შეჯიბრებები შაშში, ჭადრაკში, ფეხბურთში, კალათბურთსა და სპორტის სხვა სახეობებში.

ცალკე უნდა აღინიშნოს კასპელ მოჭიდავეთა მიღწევები — რაიონის რვა სოფელში რეგულარულად ეწყობა ასპარეზობანი ქართულ ჭიდაობაში, რაც დიდად უწყობს ხელს სპორტის ამ ეროვნული სახეობის განვითარებას.

წელს რაიონში ჩატარდა სიჭაბუკის, შინმოუსვლელთა, დავით გურამიშვილისა და გიორგი სააკაძის თასების გათამაშება. მოეწყო წარსულში ცნობილი ფალავნების — ლ. გოგიბედაშვილისა და ნ. პაპიაშვილისადმი მიძღვნილი ასპარეზობანი. ქართული ჭიდაობით განსაკუთრებით ახალგაზრდობაა დაინტერესებული — წელსვე გაიმართა ჭაბუკთა პირველობა და (მონაწილეობდა 112 ფალავანი) რაიონის პირველობა თავისუფალი სტილით მოჭიდავე მოსწავლეთა შორის.

გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ ჩვენი რაიონის ვეტერან სპორტსმენთა დიდი ენთუზიაზმი და თავდაუზოგავი შრომა ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდა ფალავანთა აღზრდის საქმეში. ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორის, წარსულში ცნობილი ფალავნის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს არაერთგზის ჩემპიონის ლავრენტი კაციაშვილის თავკაცობით დიდ საქმეს აკეთებენ რაიონის ცნობილი ვეტერანი სპორტსმენები: გ. ხუციშვილი, ა. ქვრივიშვილი, ნ. გოგიაშვილი, კ. ტატულაშვილი და სხვები... ყოველივე ამას უშედეგოდ არ ჩაუვლია — კასპის რაიონში აღიზარდნენ ცნობილი ფალავნები: მსოფლიოს ჩემპიონი ი. მალალაშვილი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ნ. ნუგზარიშვილი, დ. კოდანოვი, მამულაშვილი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ობგაიძე და სხვები.

ვცდილობთ ყურადღების გარეშე არ დაგვრჩეს მშდ კომპლექსის მრავალჭიდი. წელს რაიონის პირველობაში 38 ფიზკულტურული კოლექტივი (სულ 172 სპორტსმენი) მონაწილეობდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საცურაო აუზებისა და სასროლეთების უქონლობის გამო ჯერჯერობით ვერ სრულდება ნიშნოსანთა მომზადების გეგმა. მომავალში, რაკი დაგეგმილია ახალი საცურაო აუზისა და სამი სასროლეთის მოწყობა, ალბათ ეს ხარვეზიც გამოსწორდება.

ცნობილია ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლი საზოგადოების ღირსეული წევრისა და ჰარმონიული პიროვნების აღზრდის საქმეში. ამას, როგორც ცნობილია, ახალი კონსტიტუციის პროექტშიც გაესვა ხაზი. მთავარია მშობლებმა, სკოლამ თავიდანვე ჩაუნერგოს ბავშვებს სპორტისადმი სიყვარული და ყველას ჩემპიონებად თუ ვერ გამოვზრდით, ჯანმრთელი მომავალი თაობა მაინც გვეყოლება.

ო. ჯონიაშვილი,
კასპის რაიაღმასკომის თავმჯდომარე.

ობიექტივში კასპის რაიონი — ქართველ ფალავანთა შესანიშნავი პლეადის აღმზრდელი კერა

გურამიშვილობა ლამისყანაში...

ლამისყანის ჰალაში ხალხი ზიმზიმებს. ისეა იქაურობა გაჭედილი, მანქანები აღარსად ეტევა. მზე საშუადღეოზე დამდგარა. ნიავი უბერავს და ჰაერში შემოდგომის ტკბილი სურნელი ტრიალებს.

საჭიდაოს ირგვლივ დასაჯდომი სკამები შავრცხილის გრძელი ლატნებისგან გაუკეთებიათ. იძახიან, ხუთასი კაცი დაეტევაო, მაგრამ ეხლავე ეტყობა, რომ ესეც არ იქნება საკმარისი. ნახერხმოყრილ მოედანზე შარვალჩაჩაჩული ბალღები ბუღრაობენ. მოშორებით ორი სახეალანძული, თვალებაციმციმებული ბერიკაცი შესტოტებია ერთმანეთს. ღიმილით შესცქერის გარსშემოხვეული ხალხი იმათ უილაჯო ბღლარძუნს.

სასწორთან ტანტარა ბიჭების რიგი გამართულა. მოჭიდავეებს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ კასპის რაისაბჭოს თავმჯდომარე გ. ოთარაშვილი და შეჯიბრების მთავარი მსაჯი გ. ნავროზაშვილი სწონიან. ხუთი გუნდი მონაწილეობს დავით გურამიშვილის სახელობის თასის გათამაშებაში, რაიონის ხუთმა სოფელმა ჩამოიყვანა ტალკტალიკა ბიჭები და ახლა იმედის მთავრებულიყო, რომ აჭიჭყინდა ზურნა, აბაგუნდა დოლი და საჭიდაოს მიაწყდა ხალხი. ბალღებით დაიხუნძლა მსხლისა და ვაშლის ხეები. აჭრიჭინდნენ შავრცხილის მაჯისსიმსხო ლატნები... ხუთასი კი არა, რატომ ათასხუთასი კაცი არ დაესწრო იმდღევანდელ ასპარეზობას.

წარსულში ცნობილმა ფალავანმა, ხუთგზის საბჭოთა კავშირისა და ოცდახუთგზის საქართველოს ჩემპიონმა ლავრენტი კაციაშვილმა სასტვენს ჩაჰბერა და შეჯიბრებაც დაიწყო... მზის გადასვლამდე ერკინებოდნენ ერთმანეთს ქვემოჭალელი, მეტეხელი, ლამისყანელი, ხოვლელი და კავთისხეველი ბიჭები. მზის გადასვლამდე ყიჟინა არ დამცხრალა შემოდგომის სურნელებით გაბრუებულ ჰალაში. მარჯვე ცერულებით, კაურებით, მოგვერდებითა და კისრულებით მოხიბლეს მაყურებელი ოსიშვილმა, ჯალალმა, მამაცაშვილმა, ნუგზარიშვილმა და სხვებმა.

ფინალში ლამისყანელი და მეტეხელი ფალავნები შეერკინენ ერთმანეთს. უფრო ომახიანად ახმიანდა დოლი, მონდომებისგან კისრის ძარღვები დაეჭიმათ ლოყებდაბერილ მეზურნეებს. ისევ ლ. კაციაშვილმა ითავა ფინალის მსაჯობა...

დასაწყისშივე იმარჯვეს მეტეხელებმა — ლაფერაშვილმა და კაციაშვილმა ზედიზედ ორი წმინდა გამარჯვება მოუტანეს გუნდს. მათ არც ბარნაბიშვილი ჩამორჩა — ლამისყანელ ნავროზაშვილს ქულებით მოუგო და მეტეხელებიც დაწინაურდნენ. თეძმის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში კ. ტატულაშვილი იმედმოცემული დასტრიალებდა თავის ფალავნებს, რჩევა-დარიგებას აძლევდა, აგულიანებდა. მაგრამ არც ლამისყანელები ფიქრობდნენ ასე ადვილად გურამიშვილის სახელობის თასის დათმობას — ჯერ ოსიშვილმა ქულებით, მერე კი ახლოურმა შესანიშნავად ჩატარებული ბრუნით ორი გამარჯვება მოუტანეს თანაგუნდელებს.

ბრძოლა ეშხში შევიდა.

ახლა ლამისყანელებს აუძგერდათ გული, მაგრამ ისევ იმარჯვეს მეტეხელებმა: საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონმა მამულაშვილმა ნახერხს ბეჭებით გააკრა ლამისყანელი ბეინაშვილი. მას შემდეგ, რაც ღვინაძემ სუფთა დამარცხება აგემა მეტეხელ გეჯაძეს, ყველაფრის გარკვევა ლამისყანელ ბედოევსა და მის მეტოქეს — საბჭოთა კავშირის ჩემპიონსა და ევროპის პრიზიორს მეტეხელ ნუგზარიშვილს მიენდო.

ასპარეზობის ბოლო აკორდი მართლაც რომ ბრწყინვალე გამოდგა. შესანიშნავად იჭიდავა ნ. ნუგზარიშვილმა, ელვისებური ილეთებით გააბრუა მეტოქე და მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოიპოვა.

დავით გურამიშვილის სახელობის თასი მეტეხელებმა დაისაკუთრეს.

დამთავრდა შეჯიბრება. ჩამობინდდა. მაგრამ ხალხი დაშლას როდი ჩქარობდა. ნაბდისქუდიანი ბერიკაცები ნეტარი ღიმილით იგონებდნენ ძველი დროის განთქმულ ფალავნებსა და დღევანდელ მოასპარეზეთაც უწონებდნენ სიჩაუქეს. საჭიდაოზე ისევ ჯაჯგურობდნენ ბალღები. სოფლიდან კი უკვე მოისმოდა ხალისიანი სიმღერა — გურამიშვილობას დღესასწაულობდნენ ლამისყანელები...

ნ. შატაიძე.

სურათებზე: დავით გურამიშვილის სახელობის თასის მფლობელი, სოფ. მეტეხის ნაკრები გუნდი; ბრძოლა ეშხში შევიდა...

კ. ხალუქაძის ფოტოები.

ჯეროვანი ყურადღება სპორტსკოლას

შარშან, იანვარში რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თაოსნობით კასპში ბავშვთა ახალი სპეციალიზებული სკოლა გაიხსნა. მის ბაზაზე კი დაარსდა კომპლექსური სპორტული სასწავლებელი. აქ სულ რაღაც წლინახევრის განმავლობაში მოამზადეს კალათბურთელ გოგონათა გუნდი (მწვრთნელი ა. ქესაური), რომელმაც წარმატებით იასპარეზა ქ. გორში გამართულ მოსწავლეთა ზონალურ შეჯიბრებაში და I ადგილი დაიკავა. შესანიშნავად მოემზადნენ სკოლის ჩოგბურთელებიც. გაზეთ „კომუნისტის“ პრიზის მფლობელი კროსში მარინე გაბოძე სწორედ ამ სასწავლებლის აღსაზრდელია. ასე რომ, კასპის ბავშვთა სკოლამ (დირექტორი რ. ტყემალაძე) გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.

სამწუხაროდ, სასწავლებლის კომპლექსური დარბაზი ავარიულ მდგომარეობაშია — აყრილია პარკეტი, მოუწყობელია განათება. მშენებლებმა შუა გზაზე მიატოვეს სარემონტო სამუშაოები და უკვალოდ გაქრნენ. საჭიროა რაიონის ხელმძღვანელობამ, სპორტკომიტეტმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს.

• • •

სურათებზე: ბავშვთა სპორტული სკოლის ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი ა. ჯალალი); თამაშობენ ცნობილი კახპელი მოშაშეები, დები — გიული (მარჯვნივ) და 10 წლის ლიანა ყაზარაშვილები, რომელთაც საქართველოს ქალთა წლევანდელ პირველობაში შესაბამისად II და VII ადგილები დაიკავეს. გოგონებს ავარჯიშებს მათივე მამა — ოსტატობის კანდიდატი ა. ყაზარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

●

გააკეთეთ თქვენ თვითონ



ხელბურთის მოედანი, სათამაშო მოწყობილობა და ინვენტარი

ხელბურთის მოედანი წარმოადგენს სწორკუთხედს სიგრძით 30-50 მ და სიგანით 15-25 მ (სასურველია მოედანი იყოს 20×40 მ).

ფიზკულტურის კოლექტივის სექციებში მასობრივი შეჯიბრებების დროს დასაშვებია თამაში ჩატარდეს 12×24 მ ზომის მოედანზე.

სათამაშო მოედანი სწორი უნდა იყოს. თამაში შეიძლება ბალახიან, ხის ან მიწის ზედაპირის მქონე მოედანზე. აკრძალულია ქვიშიან ან ქვით მოკირწყლულ მოედანზე თამაში.

ხელბურთის მოედნის დახაზვა

მოედანი საჭიროა დაიხაზოს ნათელი, თვალსაჩინო ხაზებით (საღებავით ან ცარცით). მოედნის ზედაპირზე ხაზები ერთ სიბრტყეზე უნდა იყოს გავლებული. ხაზების სიგანე 5 სმ-ია.

ხელბურთი

გამონაკლისს წარმოადგენს კარის მოედნის ხაზი, რომლის სიგანე 8 სმ-ია. ხაზის სიგანე შედის მოედნის შემომფარგვლელი ან მანძილის განმსაზღვრელი ხაზების ზომებში.

გრძელ ხაზებს, რომლითაც შემოსაზღვრულია მოედანი, ეწოდება გვერდითი ხაზები, ხოლო მოკლე ხაზებს — პირითი. მოედნის კუთხეებში (საზაფხულო მოედანზე) იდგმება ალმები, რომლის სიმაღლეა 1,5 მეტრი. მოედნის გვერდითი ხაზების შუა წერტილების შემაერთებელი ხაზია შუა ხაზი (ცენტრალური ხაზი).

კარის მოედანი წარმოიქმნება: ა) მეტრიანი სწორი ხაზებისაგან, რომელიც კარის სიგანის ტოლია და გავლებულია კარის ხაზის პარალელურად 6 მეტრის დაშორებით; ბ) 6-მეტრიანი რადიუსის ნახევარრკალებით, რომლებიც გაივლება კარის ორივე მხარეს, ყოველი ნახევარრკალის რადიუსის ცენტრი მოთავსებულია კარის თითოეული ძელის ქვედა კუთხეში (ძელების შიგნითა ნაწილში). ნახევარრკალები შემოიხაზება პირითი და სწორი ხაზების გადაკვეთამდე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კარის მოედნის ზომები იცვლება სათამაშო მოედნის ზომების შესაბამისად. მაგალითად, 17×34 მ მქონე სათამაშო მოედანზე კარის მოედანი შემოიხაზება 5-მეტრიანი რადიუსის მქონე ნახევარრკალებით.

თავისუფალი გდების ხაზი. კარის მოედნის ხაზიდან 3 მეტრის დაშორებით და მის პარალელურად გაივლება წყვეტილი ხაზებით შემოფარგლული თავისუფალი გდების ხაზი. თითოეული წყვეტილი ხაზის სიგრძე უნდა უდრიდეს 15 სმ-ს.

საჯარიმო ტყორცნის ხაზი. კარის მოედნის ხაზის პარალელურად გაივლება 1 მეტრის სიგრძის საჯარიმო ტყორცნის ხაზი, რომელიც კარიდან დაშორებული უნდა იყოს 7 მეტრით. შემცირებული ზომების მოედანზე, ესე იგი იმ შემთხვევაში, როდესაც კარის ხაზი პირითი ხაზიდან დაშორებულია 5 მეტრით, საჯარიმო გდების ხაზი გაივლება კარიდან 6 მეტრის დაშორებით.

ხელბურთის კარი

პირით ხაზზე მოწყობილია კარი და კარის მსაჯებისათვის ბოგი. ხის ბოგი შემდეგი ზომისაა: სიმაღლე 0,5 მ, ფართობი 1×1 მ. კარი შედგება ჰორიზონტალური ძელისა და ორი ვერტიკალური დგარისგან, რომლებიც დაშორებულია კუთხური ალმებიდან თანაბარი მანძილით.

დგარებსა და ძელს აქვს კვადრატული განაკვეთი (8×8 სმ) და დამზადებულია ხის მასალისგან.

კარის ზომები: სიგანე — 3 მ (პირითი ხაზის ცენტრალური წერტილიდან კუთხური ალმების ორივე მხარეს გადაიზომება 1,5-1,5 მ), სიმაღლე (მოედნის ზედაპირიდან კარის ზედა ძელამდე) 2 მეტრი.

კარზე არ უნდა იყოს გაკეთებული ლითონის რაიმე შვერილი, სალტე. კარებს ღებავენ თეთრი და შავი ფერის საღებავით (ძელებს ღებავენ 20 სმ განივი ხაზებით) დგარებზე, ძელზე და მოედნის ზედაპირზე (კარს უკან) მიმაგრებულია თოკისგან დაწნული ბადე. კარზე ბადე ისე უნდა იყოს მიმაგრებული, რომ იგი ხელს არ უშლიდეს მეკარეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შემცირებული ზომების მოედანზე კარის სიგანეა 2,5, ხოლო სიმაღლე — 2 მეტრი.

I ლიგა

13 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები.

ქუთაისის „ტორპედომ“ ითამაშა ყაზანში, ადგილობრივი „რუბინის“ წინააღმდეგ. ქუთაისელმა ფეხბურთელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება ანგარიშით 1:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:0, „დინამო“ (მინსკი) — „კრივბასი“ (კრივოი როგი) 2:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „პამირი“ (დუშანბე) 0:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 0:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 1:1, ასკ (დონის როსტოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 5:0.

სსრ კავშირის პირველობა

●

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფახთაქ.“	28	14	10	4	39—20	38
„სპარტ.“ მ.	28	15	7	6	62—36	37
„დინ.“ მნ.	28	15	7	6	36—17	37
„კუზბასი“	27	16	2	9	41—28	34
„ტავრია“	27	13	6	8	37—22	32
„თერგი“	28	13	6	9	47—33	32
„პამირი“	28	14	4	10	40—28	32
„შინიკი“	28	10	11	7	36—28	31
„ნისტრუ“	27	9	13	5	30—26	31
„ურალმაში“	27	10	8	9	38—41	28
„დინ.“ ლ.	28	8	11	9	37—39	27
„ტორპედო“	28	10	7	11	27—35	27
ასკ როსტ.	29	8	10	11	27—32	26
„სპ.“ ი.-ფ.	27	6	11	10	25—37	23
„მეტალურ.“	27	7	9	11	17—30	23
„სპარ.“ ორ.	28	7	8	13	27—36	22
„კოლხოზჩი“	28	8	6	14	27—48	22
„კრივბასი“	27	7	5	15	30—41	19
„რუბინი“	27	5	8	14	28—49	18
„ზვეზდა“	27	2	9	16	19—43	13

„განთიადში“ სავარჯიშოდ

სპორტსაზოგადოება „განთიადთან“ არსებული თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სკოლა აწარმოებს 1965-69 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა მიღებას.

მეცადინეობის მსურველთა გასინჯვა იწარმოებს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე ყოველ დღე 10-დან 12-მდე და 15-დან 17 საათამდე. სკოლა უზრუნველყოფილია მწვრთნელთა მაღალკვალიფიციური კადრებით და სპორტული მოწყობილობით.

ფეხბურთი

ვეტერანები ახალქალაქში

ამას წინათ თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად იმყოფებოდა ახალქალაქში, სადაც ეთამაშა ადგილობრივ „აბულს“.

მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია, სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს, ხოლო ორთაბრძოლა დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა ფრედ — 3:3.

ი. მეძღლიშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ჩემპიონატები, თასები, ლიგები

გდრ

დრეზდენის „დინამოსა“ და ლაიფციგის „ლოკომოტივს“ IV ტურის წინ ქულათა მაქსიმუმი ჰქონდათ, ამიტომ მათმა შეხვედრამ ლაიფციგში დიდი ინტერესი გამოიწვია. უკვე 25 წუთის შემდეგ ანგარიში იყო 2:0 მასპინძლების სასარგებლოდ (გოლები გაიტანეს კიუნმა და ფრენცელმა). „დინამომ“ საპასუხო იერიშის შემდეგ უკვე 35-ე წუთისთვის აღადგინა წონასწორობა — 2:2 (ზაქსე და კოტე). მეორე ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა, „დინამო“ და „ლოკომოტივი“ კვლავ ლიდერობენ 7-7 ქულით. მათ მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება „ფკ მაგდებურგი“, რომელსაც შესანიშნავი თავდასხმა ჰყავს: შტრაიხი—შპარვასერი—ჰოფმანი, „ფკ მაგდებურგი“ სტუმრად თამაშობდა გერაში ადგილობრივ „ვისმუტთან“ და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 4:0. გოლები გაიტანეს ჰოფმანმა (2), შტრაიხმა და ნახევარმცველმა შტაინბახმა.

სნაიპერთა შორის დაწინაურდა შტრაიხი — 6 ბურთი.

უნგრეთი

პირველ ტურში „ნეპშტადიონზე“ გაიმართა დედაქალაქის გუნდების 2 მატჩი. ჯერ მინდორზე გამოვიდნენ „დოჟა-უიპეშტი“ და „ვაშაში“, შემდეგ კი „ფერენცვაროში“ და „ჰონვედი“. ამ სანახაობას 65 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. „დოჟა-უიპეშტმა“ მძაფრ ბრძოლაში შეძლო უნგრეთის ახლანდელ ჩემპიონ „ვაშაშის“ დამარცხება — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა დ. ნადმა და შესანიშნავად ითამაშა „დოჟა-უიპეშტის“ მეკარე ტოტმა. „ფერენცვაროშმა“ ანგარიშით 2:1 მოუგო „ჰონვედს“.

აი, პირველი ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები: „დოჟა“ (პეჩი) — „დუნაივაროში“ 1:1, „ბეკეშსაბა“ — „ცალავგერშაგი“ 1:1, „შეკეშფეჰერვარი“ — „კაპოშვარი“ 1:0, „სეგედი“ — მტკ 1:0, „ბანიაში“ — „ვიდეოტონი“ 1:0, „დიოშდიერი“ — „ჩეპელი“ 1:0, „რაბა“ — „ჰალადაში“ 0:0.

რუმინეთი

IV ტურში ლიდერი — „არგეში“ (პიტეშტი) ბუქარესტში თამაშობდა ადგილობრივ „სტიაუასთან“ და 1 ქულით დაკმაყოფილდა — 1:1. ამასობაში პირველი ლიგის დებიუტანტმა „ტარგოვისტემ“ შინ მოუგო „ფკ კონსტანტას“ — 1:0 და დაეწია „არგეშს“ (ორივეს 6-6 ქულა აქვს). ლიდერობას ბურთების უკეთესი სხვაობით მაინც პიტეშტელები ინარჩუნებენ. ბოლოსდაბოლოს, მოიგო მატჩი ბუქარესტის „დინამომ“, რომელმაც საკუთარ მინდორზე მიიღო „უნივერსიტეტეა“ (კრაიოვა). 2 ბურთი გაიტანეს მიტამ და ჯორჯესკუმ. ჩემპიონს 4 თამაშის მერე მხოლოდ 3 ქულა აქვს.

ბულგარეთი

სტარტზე ყველაზე კარგად თამაშობენ „ლევსკი-სპარტაკი“ და ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“. პირველს 5 თამაშიდან 9 ქულა აქვს, არმიელებს 4 თამაშიდან მაქსიმუმი — 8.

V ტურში „ლევსკი-სპარტაკმა“ შინ იოლად მოუგო ვარნის „ჩერნო მორეს“ — 4:0. არმიელებმა კი გამოტოვეს მატჩი სტარა ზაგორას „ბეროესთან“. 5 თამაშიდან 7 ქულით III ადგილზეა ბლაგოევგრადის „პირინი“.

იუგოსლავია

4 ტურის შემდეგ 7-7 ქულა აქვთ სპლიტის „ჰაიდუკსა“ და ბელგრადის „პარტიზანს“. ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“, რომლის რიგებში კვლავ თამაშობს ცნობილი მარცხენა გარემარბი ჯაიჩი, მხოლოდ 4 ქულა მოაგროვა და IX ადგილზეა.

ინგლისი

სტარტის შემდეგ 3 თამაშიდან 6 ქულით ლიდერობდა I ლიგის დებიუტანტი „ნოტინჰამ ფორესტი“, მაგრამ IV ტურში „ნოტინჰამ ფორესტი“ დამარცხდა და მას ერთბაშად სამმა გუნდმა გაუსწრო. დებიუტანტმა ლონდონში მძიმე მარცხი იწვნია „არსენალთან“ — 0:3.

7-7 ქულა მოაგროვეს „მანჩესტერ სიტიმ“, „ლივერპულმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“. „მანჩესტერ სიტიმ“ საკუთარ მინდორზე დიდი უპირატესობით წარმართა მატჩი „ნორვიჩ სიტისთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 4:0. „ლივერპულმა“ სტუმრად დაამარცხა „ბირმინჰამ სიტი“ — 1:0, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ასევე სტუმრად (1:0) — „დერბი ქაუნთი“. „ნოტინჰამ ფორესტი“ 6 ქულით IV ადგილზე გადავიდა.

აი, IV ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „ბრისტოლ სიტი“ — „ასტონ ვილა“ 1:1, „კოვენტრი სიტი“ „ლიდს იუნაიტედი“ 2:2, „ევერტონი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 0:0, „იფსვიჩ თაუნი“ „ჩელსი“ 1:0, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ვესტ ჰამ იუნაიტედი“ 2:3, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — „ლესტერ სიტი“ 3:0, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „მიდლსბრო“ 2:1.

II ლიგაში 4 ტურის შემდეგ 7 ქულით პირველ ადგილზეა „ბოლტონ უონდერერსი“. 6 ქულა აქვს „ტოტენჰემ ჰოტსპურს“.

საფრანგეთი

VI ტურმა პირველი დამარცხება მოუტანა „მონაკოს“, რომელსაც მანამდე ასპროცენტიანი შედეგი ჰქონდა. ლიდერმა წააგო მარსელში ადგილობრივ „ოლიმპიკთან“ — 2:3 და II ადგილზე გადაინაცვლა. „ნიცამ“ საკუთარ მინდორზე სძლია (5:3) ბორდოს „ჟირონდას“ და 11 ქულით პირველ ადგილზეა. „ნანსიმ“, რომლის რიგებში შესანიშნავად თამაშობს ცნობილი ნახევარმცველი პლატინი, მძიმე დამარცხება — 4:1 აგემა „სტად დე რეიმსს“.

გფრ

VI ტურის მატჩებიდან ყველაზე მოულოდნელი შედეგი მოიტანა შეხვედრამ ჰამბურგში ადგილობრივ გუნდებს „ჰამბურგერ შპორტფერაინსა“ და პირველი ლიგის დებიუტანტ „ფკ სტ პაულის“ შორის. დებიუტანტთა მცველმა 22 წლის ოსვალდმა სრულიად გამოთიშა თამაშიდან „შპორტფერაინის“ ინგლისელი ვარსკვლავი კიგანი, ამასობაში „სტ პაულის“ თავდამსხმელი გერბერი საკმაოდ იოლად სჯაბნიდა ნაკრების ცენტრალურ მცველს ნოგლის. ახალბედების გამარჯვება ანგარიშით 2:0 (გოლები გაიტანეს გერბერმა და კულკამ) მიმომხილველებს სავსებით დამაჯერებლად მიაჩნიათ.

ასევე მოულოდნელია „კიოლნის“ დამარცხება საარბრიუკენში ამავე სახელწოდების გუნდთან — 0:1. „კიოლნმა“ II ადგილზე გადაინაცვლა. ლიდერობს „შალკე 04“ — 9 ქულა. მას განსაკუთრებით ძლიერი თავდასხმა ჰყავს: აბრამჩიკი—ფიშერი—ე. კრემერსი. „შალკე 04“-მა ბოლო ტურში სძლია დიუსელდორფის „ფორტუნას“ — 1:0.

ესპანეთი

ესპანეთის მრავალგზის ჩემპიონი „რეალი“ (მადრიდი), რომლის სათავეში დიდი მითქმა-მოთქმის მიუხედავად კვლავ დარჩა იუგოსლაველი სპეციალისტი მილიანიჩი, 1 ტურში სტუმრად ეთამაშებოდა „სალამანკას“. მე-14 წუთზე „რეალის“ ვეტერანმა დელ ბოსკიემ გახსნა ანგარიში, მაგრამ ეს იყო მადრიდელთა პირველი და უკანასკნელი წარმატება. შემდგომში ტომემ და ალვესმა 2 ქულა მოუტანეს „სალამანკას“. მიმომხილველთა აზრით, თავი ვერაფრით ისახელა „რეალის“ ახალმა ფეხბურთელმა, გფრ-ის ნაკრების ნახევარმცველმა შტილიკემ, ხოლო დანიელმა იენსენმა მეორე ტაიმში ტრავმა მიიღო და მილიანიჩი იძულებული იყო შეეცვალა იგი.

მადრიდის „ატლეტიკს“ საკუთარ მინდორზე დიდი უპირატესობა ჰქონდა „ვალენსიასთან“ — 3:0. „ბარსელონამ“ შინ ძლივს სძლია „რეალ-სოსიედადს“. ერთადერთი ბურთი მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე გაიტანა ნახევარმცველმა ნეესკენსმა.

პირველი ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „სევილია“ — ბარსელონის „ესპანიოლი“ 3:1, „უნიონი“ (ლას-პალმასი) — „ბურგოსი“ 0:0, ალიკანტეს „ჰერკულესი“ — ხიხონის „სპორტინგი“ 1:0, „სანტანდერი“ — „ელჩე“ 2:0, „კადიქსი“ — მადრიდის „რაიო ვალენცანო“ 2:1, ბილბაოს „ატლეტიკო“ — „ბეტისი“ (სევილია) 0:0.

ჰოლანდია

სენსაციური შედეგით — 6 თამაშიდან 12 ქულით ლიდერობს „ნეკ ნიიმეგენი“, რომელიც აქამდე არ მიეკუთვნებოდა ჰოლანდიის წამყვანი კლუბების რიცხვს. VI ტურში „ნიიმეგენმა“ საკუთარ მინდორზე ანგარიშით 1:0 სძლია „ფკ ვენლოს“. „ეინდჰოვენმა“ შინ ასევე მინიმალური ანგარიშით მოუგო „ტელსტარს“ (ველსენი) და 11 ქულით II ადგილზეა. მთავარი ფავორიტები — ამსტერდამის „აიაქსი“ და როტერდამის „ფეიენოორდი“ ამსტერდამში შეხვდნენ ერთმანეთს. ფრე — 2:2. „აიაქსი“ 9 ქულით IV ადგილზეა, „ფეიენოორდს“ კი 5 ქულა აქვს და ჯერჯერობით მხოლოდ X ადგილი უჭირავს.

ავსტრია

მხოლოდ 10 ათასი მაყურებელი დაესწრო ვენის „პრატერშტადიონზე“ გათამაშების ლიდერის — „რაპიდის“ მატჩს „ვინერ შპორტკლუბთან“. თამაში აღინიშნა იშვიათი ანგარიშით 7:2 (გაიმარჯვა „რაპიდმა“). ჩინებულად ითამაშა „რაპიდის“ სნაიპერმა კრანკლმა, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა.

მოულოდნელი იყო ავსტრიის ჩემპიონ „ვაკერის“ (ინსბრუკი) დამარცხება (1:2) ლინცში ადგილობრივ ასკ-სთან. ვენის „აუსტრია“ საკუთარ მინდორზე ფრეს დასჯერდა ვოესტ-თან (ლინცი) — 1:1.

5 ტურის შემდეგ 8-8 ქულა მოაგროვეს ვენის კლუბებმა „რაპიდმა“ და „აუსტრიამ“. მათ 1 ქულით ჩამორჩება ინსბრუკის „ვაკერი“.

ქართული სპორტი უცხოეთის პრესის ფურცლებზე

●

ემუქრება ჭადრაკს ფემინიზაცია?

მსოფლიოს ჩემპიონმა ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილმა ქალთა შორის პირველმა მიიღო საერთაშორისო დიდოსტატის წოდება, ხოლო სულ ახლახან 16 წლის მაია ჩიბურდანიძემ მოიპოვა ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლება.

ეს ორი მოვლენა ერთ აზრს ბადებს: ხომ არ იბრძვიან ქალები ჭადრაკში თანასწორუფლებიანობისთვის?

ეს ძალზე სერიოზული კითხვაა. ფიქრობენ, რომ ჭადრაკი სპორტის მრავალ სახეობათაგან პირველია, სადაც ქალები თანასწორ უფლებას მოიპოვებენ მამაკაცებთან. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური მომზადება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჭადრაკში — იგი გონებრივი აქტივობის სტიმულის მიმცემია — კუნთების როლი ჭადრაკში მცირეა.

დასავლეთგერმანელი ფემინისტები იმ აზრს იცავენ, რომ ქალები წარმატებას მიაღწევენ სპორტის იმ სახეობებში, სადაც მნიშვნელოვან როლს ამტანობა თამაშობს. მაგალითად, ქალები უფრო ადვილად გადასცურავენ ლა-მანშს, ვიდრე მამაკაცები. ოლიმპიურ თამაშებზე მარათონულ რბენაში ქალები არ მონაწილეობენ. მიზეზი მხოლოდ მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა როდია — დასავლეთგერმანელი მეცნიერების გამოკვლევები ცხადყოფს, რომ სათანადო წვრთნის შემდეგ ქალები უფრო კარგ შედეგებს მოიპოვებენ. სხვები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე თამაშები მეტოქეობის სულითაა გამსჭვალული და ეს მამაკაცთა აგრესიულ ბუნებას უფრო შეეფერება.

ფემინისტების ამ თეორიის მიხედვით ჭადრაკი განსაკუთრებულ ლოგიკას მოითხოვს, ხოლო ქალები ნაზი და ემოციური არსებანი არიან და არა აქვთ უნარი სიტუაციის ღრმა ანალიზისა. აქედან გამომდინარე მათ არ ძალუძთ მამაკაცებთან მეტოქეობა.

სკოლებში ჩატარებულმა სხვადასხვა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ გოგონები და ბიჭუნები ინტელექტუალურად ერთნაირად მომზადებული არიან ჭადრაკისთვის, მაგრამ მაინც 7-8 წლის გოგონები ავებენ ბიჭუნებთან. ეს ასეა ყველგან, მაგრამ არა საბჭოთა საქართველოში. ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე ქართველები არიან, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის საუკეთესო მოჭადრაკე ქალთა უმეტესობა. ნონა დიდოსტატ ვაჟებს ამარცხებს, ხოლო მაიას მიენიჭა წოდება, რომელსაც ჩვეულებრივად მამაკაცები ფლობენ.

რაშია საიდუმლო? დამაჯერებელი პასუხი ჯერ ვერ მიპოვნია. „სოვეტსკი სპორტი“ ძველ საუკუნოვან ტრადიციებს იხსენებს, როცა ქართველ ქალებს მზითევში ჭადრაკს ატანდნენ.

იქნებ პასუხი „აგრესიულობაში“, მათ რისკიან თამაშში ვეძებოთ? ნონაც და მაიაც მწვავედ თამაშობენ, ხშირად, სახიფათო დებიუტებს ირჩევენ. მათგან განსხვავებით, გასულ კვირას ბრაიტონის ქალთა შეჯიბრებაში პარტიები პასიური, ფრთხილი ტაქტიკით გამოირჩეოდა.

ახლახანს დავესწარი ტურნირს, რომელშიც რამდენიმე გოგონა და ათეული ბიჭუნა მონაწილეობდა. ძნელი არ იყო შემემჩნია, რომ ბიჭები როცა მწვავე პოზიციაში ვარდებოდნენ, გოგონებს სთავაზობდნენ ყაიმს, რაზეც ისინი სიამოვნებით თანხმდებოდნენ. პირიქით კი არასდროს ხდებოდა.

როგორ გადალახეს ეს საბჭოთა საქართველოში? შეიძლება ვინმემ მიკარნახოს პასუხი ამ კითხვაზე.

გრეჰემ ტეილორი.

„მორნინგ სტარი“, 23 აგვისტო, 1977 წელი.

ბულგარეთის შავი ზღვის საკურორტო სანაპიროს ცენტრში — ქალაქ ბურგასში მოეწყო ცნობილი ქართველი ჟურნალისტისა და ფოტოხელოვანის, გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტის სიმონ კილაძის პერსონალური გამოფენა „საქართველოს მოტივები“. იგი მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს და ორგანიზებული იყო ბულგარეთის ჟურნალისტთა კავშირისა და საქართველოს პროფკავშირების კულტურის სახლის რესპუბლიკურ ფოტოკლუბ „საქართველოს“ მიერ.

გამოფენას დიდი წარმატება ხვდა და სახელმწიფო გაერთიანება „ბულგარეთის ფოტოგრაფიის“ თხოვნით იგი ნაჩვენები იქნება სექტემბრის ბოლოს სოფიის საგამოფენო სალონში, შემდეგ — პოლონეთის ფოტოკლუბ „კონტრასტში“ და ბელგიის საერთაშორისო ინტერნაციონალურ ფოტოსალონში „ბფა-გევერტში“ ქალაქ ამსტერდამში.

• • •

სურათებზე: ს. კილაძის ნამუშევრები ამ გამოფენიდან.

ოლიმპიური თამაშების პროგრამები

ჟენევა. ჟურნალ „ოლიმპიკ რევიუში“ დაიბეჭდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრის ა. ჩანადის (უნგრეთი) ოლიმპიადების პროგრამათა ფორმირების პრობლემებისადმი მიძღვნილი წერილი.

ოლიმპიური მოძრაობის მთავარი ამოცანები № 1 ოლიმპიურ წესში შემდეგი სიტყვებითაა გადმოცემული:

„ოლიმპიური მოძრაობის მიზანია ხელი შეუწყოს იმ ფიზიკური და მორალური ღირსების განვითარებას, რომლებიც სამოყვარულო სპორტის საფუძველს წარმოადგენენ, ოთხ წელიწადში ერთხელ სპორტის დიდ ზეიმზე თავი მოუყაროს მსოფლიოს სპორტსმენებს და ამგვარად ხელი შეუწყოს ხალხთა შორის პატივისცემის გრძნობის გაღვივებას, უფრო სრულყოფილ და მშვიდობისმოყვარე მსოფლიოს აშენებას“.

სპორტის მოყვარულთა ყურადღებას განსაკუთრებით ის სპორტსმენები იმსახურებენ, რომლებიც მონაწილეობენ შეჯიბრებაში და ამიტომ სპორტულ პროგრამებთან დაკავშირებული ყველა საკითხი, პირველ რიგში, სპორტსმენთა ინტერესების დაცვით უნდა გადაწყდეს.

რა თქმა უნდა, ამით მცირდება ოლიმპიური მოძრაობის ან თამაშების ორგანიზაციის სხვა ამოცანათა მნიშვნელობა. მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ოლიმპიური თამაშები უნდა ეწყობოდეს გარკვეული სპორტული პროგრამით.

სპორტის ამა თუ იმ სახეობის საერთაშორისო ფედერაციები ყოველნაირად ცდილობენ თამაშების პროგრამაში შეიტანონ თავიანთი სახეობა და ამით პრესტიჟი აუწიონ მას. ცნობილია, რომ საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებში შეტანილია სპორტის 21 სახეობა, ხოლო ზამთრის ოლიმპიადებში — ექვსი.

ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შემავალ სპორტის სახეობათა რაოდენობა:

ზაფხულის ოლიმპიადები	სპორტის სახეობა	ჯილდოების კომპლექტი
1896 წელი	8	43
1908 „	23	109
1928 „	16	122
1936 „	21	144
1948 „	18	136
1952 „	19	149
1972 „	21	195
1976 „	21	198

ზამთრის ოლიმპიადები:

1924 წელი	4	14
1928 „	5	13
1936 „	4	18
1964 „	6	34
1976 „	6	37

რა თქმა უნდა, სტატისტიკური მონაცემები ძალზე ბუნდოვნად ასახავენ იმ ცვლილებებს, რომლებიც შეინიშნება სპორტული პროგრამების ზრდაში. მაგალითისთვის მოვიყვან სპორტის ზამთრის სახეობებს, რომლებიც თამაშების პროგრამაში შეჰქონდათ 1924 წლის ზამთრის თამაშებამდე. მაგალითად, ციგურები პროგრამაში შეტანილი იქნა 1908 წელს, ხოლო ჰოკეი ყინულზე — 1920 წელს. პროგრამის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1896 წლიდან 1976 წლამდე პროგრამაში შეიტანეს სპორტის შემდეგი სახეობები: ჩოგბურთი (6-ჯერ), წყალბურთი (3), ბაგირის გადაჭიმვა (3), რეგბი (2), ალპინიზმი (1), ბეისბოლი (1), ლაკროსი (1), ძრავებიანი ნავებით რბოლა (1) და რეკეტსი (1).

ბოლო დროს კი პროგრამაში შევიდა ძიუდო (1964, 1972 და 1976 წ.წ.) და მშვილდოსნობა (1908, 1920, 1972 და 1976). 1896 წლის ოლიმპიურ თამაშებში იყო მხოლოდ სპორტის 8 სახეობა, რომელთაგან ოთხი — მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფარიკაობა და ცურვა (წყალბურთი მხოლოდ 1900 წლიდან) ყოველთვის შედიოდა ოლიმპიადების პროგრამაში.

1924 წელს დაწესებული ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამის მიხედვით სპორტსმენებმა იასპარეზეს ციგურებით ჩქაროსნულ რბენასა და ფიგურულ სრიალში, ჰოკეისა და სათხილამურო რბოლებში.

სურათი დადებითია თუ პროგრამების განვითარების გაანალიზებისას მხედველობაში არ მივიღებთ კონკრეტულ მდგომარეობებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დრომდე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს არ შეუმუშავებია საერთო პროგრამული პოლიტიკა.

ამან იქამდე მიგვიყვანა, რომ სოკ-ის წევრები, რომლებიც არ წარმოადგენენ ექსპერტებს სპორტის ყველა სახეობაში, ხშირად სუბიექტურ შეხედულებათა გავლენის ქვეშ ექცეოდნენ. ოლიმპიური პროგრამების უთანაბრო განვითარების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ზოგიერთი ავტორიტეტული პირი, ხშირად ზემოქმედებდა სოკ-ზე და თავს ახვევდა პირად აზრებს. მაგალითად, პროგრამიდან სპორტის გუნდური სახეობების ამოღების შესახებ დღესაც დავობენ. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1924 წელს იდგა დღის წესრიგში, მოგვიანებით კი ცდილობდნენ ოლიმპიური პროგრამებიდან ამოეღოთ ყველა გუნდური შეჯიბრება და შეეტანათ მხოლოდ ინდივიდუალური.

ზოგიერთმა სუბიექტურმა გარემოებამაც შეუწყო ხელი სპორტის ზოგ სახეობაში შეჯიბრებათა რიცხვის ძლიერ ზრდას. მეორე მხრივ, პროგრამების განვითარების არათანაბარი ხასიათი იმანაც გამოიწვია, რომ ოლიმპიურ თამაშებში ქალთა მონაწილეობა 1972 წლამდე ჩამორჩებოდა ქალთა შორის სპორტის განვითარების საერთო საერთაშორისო დონეს.

(დასასრული იქნება)

მძლეოსნობა

ბონი, 13 სექტემბერი. მძლეოსნობაში მსოფლიო თასის მეორე გათამაშება მოეწყობა 1979 წლის აგვისტოში ლოს-ანჯელესში, ან მონრეალში.

— დიუსელდორფში ჩატარებული პირველი შეჯიბრება წარმატებით დასრულდა, ამიტომ გადაწყდა იგი ტრადიციად იქცეს,—თქვა პრეს-კონფერენციაზე მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის პრეზიდენტმა ადრიან პაულენმა. — ტურნირის დინამიურობისთვის განზრახულია ასპარეზობის დროის შემცირება 2 დღემდე.

— ახლა, — ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, — უკვე ეჭვს არ იწვევს მძლეოსნობაში პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების აუცილებლობა. მისი მოწყობა ნავარაუდევია 1983 წელს, ოღონდ ეს უნდა დამტკიცდეს მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის კონგრესზე 1978 წელს. (საკდესი).

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის პრ. № 2)

ფეხბურთი

17-18 სექტემბერი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი)

17 სექტემბერი —

სათადარიგო შემადგენლობა. დასაწყისი 19 ს.

18 სექტემბერი —

ძირითადი შემადგენლობა. დასაწყისი 19 ს.

ბილეთები გაიყიდება: ორგანიზაციებზე (18 სექტემბრისთვის) — 15-16 სექტემბერს 10 საათიდან; საერთო გაყიდვა — 18 სექტემბერს 10 საათიდან „ლოკომოტივის“ სტადიონის სალაროებში. ძალაშია აბონემენტის სერია „ან“.

ჭადრაკი

პრეტენდენტი მხოლოდ მეორეა

ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტმა ე. ფატალიბეკოვამ ამას წინათ მონაწილეობა მიიღო მოსკოვის მოჭადრაკე ქალთა VIII ღია პირველობაში ელვისებურ თამაშში. პრეტენდენტმა ჩვიდმეტ მეტოქეს აჯობა. ფინიშთან მას დიდოსტატმა ტ. ზატულოვსკაიამ მიასწრო, ფატალიბეკოვა მხოლოდ მეორე იყო. III ადგილზე გავიდა საერთაშორისო ოსტატი ლ. ზელავენეცი.

სამივე მოჭადრაკე დაჯილდოვდა გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ პრიზებით.

ჭაბუკთა მსოფლიო პირველობებზე

ინსბრუკში, ჭაბუკთა (20 წლამდე) მსოფლიო პირველობის VII ტურში მოსკოველმა ა. იუსუპოვმა სძლია ერთ-ერთ ლიდერს, მექსიკელ სისნიეგას, VIII ტურში კი მოსაგებ პოზიციაში გადაიდო პარტია ბრაზილიელ მასკულოსთან.

მოსკოველი ჭაბუკი ლიდერთა ჯგუფშია. მას 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

სამაგიეროდ, წარუმატებლად ითამაშა IV ტურში 17 წლამდე ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა მონაწილემ, ბაქოელმა ჰ. კასპაროვმა. იგი დამარცხდა კაპესთან (გფრ) და წინ გაუშვა ამერიკელი ჯეი — 4 ქულა. კასპაროვს 3 ქულა დარჩა.

ყველას თავისი საზრუნავი

სოჭში, მ. ჩიგორინის მემორიალში 9 ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. ტალი — 7 ქულა, ა. პანჩენკო — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, ა. სუეტინი — 6, ტ. პეტროსიანი — 5 (1), ა. ადორიანი (უნგრეთი) — 5.

ბოლო ორი (VIII, IX) ტურიდან აღსანიშნავია ტალისა და პანჩენკოს შეხვედრები. I პრიზის მაძიებელმა ტალმა პანჩენკოსთან ყაიმის შემდეგ სწრაფად (23 სვლაში) დაამარცხა დიდოსტატი ი. ზაიცევი. პანჩენკო მწვავედ ეთამაშა გ. ჟურავლიოვს, მაგრამ პარტია ვერ დაამთავრა. შეხვედრა შეწყდა რთულ პოზიციაში.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14; 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71; წერილების 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.